ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

10 მაისი 1991

— აი, ბავშვებო, დაიმახსოვრეთ: ეს უველაზე საშიში მტაცებელია და სამაჩაბლოში ბინადრობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანეანური ბუჩუნიძე

საიუბილეო

ათამოცდაათი წელია,
რაც ძროხასავით გვწველიან:
მიაქვთ ჩაი თუ ციტრუსი,
ახალია თუ ძველია!..

რითლა?!

— არა კაც ჭკლა!
არ იპარო!
არ იმრუშო.
ჩემო ვანო!..
— მა რალა ვქნა.
გენაცვალე,
თავი რითლა
გავიტანო?!

ცოტა გუავთ?!

ერთს ამბობთ, ფიქრობთ მეორეს
(არ შემეშლება მაგი მე!)
სტალინ-ბერიას გათათხვით
ჩემს საქართველოს აგინებთ!

მაგათზე უარესებიც
თქვენში მინახავს მე ბევრი!..
ახალგაზრდა თუ ბებერი.
ცოტა გუავთ საგინებელი?!..

„პერესტროიკა" —
ორცადა!

სამაგიეროდ

— ველი არააო.
ხორცი არააო! —
დაგიჩემებია
შენ. ჩემო გოგია!
ო, სამაგიეროდ.
ო, სამაგიეროდ.
თავზე საყრელი გვაქვს
იდეოლოგია!

ყოველთვის

ცხადია თუ
სიზმარია.
პურის რიგში
ზის მარია!

ვისია ნათურა?!

საქმე ყოფილა რა რთულად,
ლამის დავკარგე გონია:
თურმე ილიჩის ნათურა
სულ სხვას გამოუგონია!

რომ კომუნიზმის სანაცვლოდ,
ბოლოს შეგვყარეს ციება!

●

მტერზე ვინა თქვა.
— დიდიო?!
მტარვალი განა დიდია?!
უბრალოდ,
გევრნი არიან
და ველაფერზე მიდიან!..
ხინდიხს და ნამუხს
(თუ შერჩათ)
ჭიქა არაყზე ჰყიდიან!

საოლიმპიადო წვრილუსტრაციები

მიაქვთ ქვაა თუ ბაზარი.
ღვინოც აურაცხელია!..
მიაქვთ მიწა თუ ჰაერი!..
ხუნთქვაც რარიგად ძნელია!..

ასეთი უკულმართობა
რა სამართალში წერია?!

გამაგებინეთ!

როგორც სიზმარში —
ველა აშენდა.
ველას მოურჩა
ველა იარა!..
სოციალიზმი
ისე აშენდა.
რომ არაფერი
გამიგია რა!
ტყუილად ვინმე
არ მაკებინოთ
არ მახარჯვინოთ
ფუჭად რითმები!..
ხალხო. ის მაინც
გამაგებინეთ —
კომუნიზმში რომ
შევჯირითდებით!

სიზმარში

წუხელის ველი მესიზმრა
(ღმერთმა რა ბედი მაღირსა!)
გამტანჯა მისმა ხურნელმა
და გემომ გამომაღვიძა!..

სანამ სიზმარს არ ამიხდენ.
ღმერთო. ნუ მომკლავ იქამდი!
ხორცი კი არ დამასიზმრო, —
არ დამემართოს ინფარქტი!

ბაზარში

ბაზარში გახლდით! —
ველაფერს
იყიდი.
თავს თუ მოიკლავ!..
ვიყიდე თუმნის „გლასნოსტი",
ცხრა თუმნის „პერესტროიკა"!
ველაფერს
ცეცხლი ეკიდა.
ხალხი ერთმანეთს ხოცავდა!..

„გლასნოსტი"
თარგმნე მწვანილად.

●

ცარიელი
კუპით მისდევს
მაძღარ
იმპერიალისტებს!

●

გაგიგონიათ. კულტურა
და განათლება ასეთი?! —
თითო მკითხველზე დღეს მოდის
ორმოც-ორმოცი გაზეთი!

●

სწავლა — არა!
შრომა — არა!
მარტო ლაპარაკი
კმარა?!
იმუოფინეთ.
რაკი კმარა!

●

ისე გვატარეს შუკებში
ბელადებმა და ძიებმა.

●

ირგვლივ ჰაერი დამძიმდა,
დახლქვეშ ხაკონლის
კიაფია!..
ხუველაფერი გაძვირდა,
ტუუილი ისევ იაფია!

●

იცი. ძმავ. მე რა
მაბრაზებს? —
წნევა რომ უსწრებს
ხელფასებს!

●

იქ აურია.
აქ აურია.
მაინც შეუნდეს:
„აკაურია!"

●

ამდენხანს პირდაფჩენილი.
დღედაღამ რას არ უსმენდი?
ცოტაღა აკლდა. შენს მიწას
რომ დარქმეოდა რუსეთი!

კარგი მთქმელისაგან

თბილისი ერთ დროს ინტერნაციონალური ქალაქი გახლდათ: იშოვებოდა (და იყიდებოდა) **უკრაინული (ხავერდოვანი) ლუდი, მოსკოვური ლუდი, რიგის ლუდი; დედაქალაქური (მოსკოვური) არაყი; დედაქალაქური (მოსკოვური) ძეხვი, პოლტავური ძეხვი; ერევნის მაღვიძარა; შუააზიური ბამბა; ბაქოს მაცივარი, მინსკის მაცივარი, ხარატოვის მაცივარი; ტალინის კედები!..**

* * *

თუ გსურთ, მაღალ თანამდებობას დიდხანს შერჩეთ, მოადგილედ (თანაშემწედ) თქვენზე სულელი ან თქვენზე ბრიყვი შეარჩიეთ, რაც, სხვათა შორის, ადვილი სულაც არ არის!..

* * *

კვების დარგში მომუშავენი ამ შიმშილობის ჟამსაც ინარჩუნებენ ღიპებსა და ღაქლაჟა ლოყებს!..

* * *

შეიძლება, კოოპერატორი გახდე, მაგრამ ზოგი რამ ადამიანური მაინც უნდა შეინარჩუნო!

* * *

შეიძლება, პოლიტიკოსი ვერ გახდე, მაგრამ წვეროსანი — ვალდებული ხარ, იყო!

* * *

არამზადა ჩემ-ანალები შემონახულა ისტორიის **ანალებში,** ჩვენ კი დღემდე არ ვიცით, ვინ გამოიგონა ხინკალი ან საცივი!..

* * *

კაცის ცხვირი ძველად რომ სემაფორი იყო, იმას ჰგავს: ხან აწეულია, ხან ჩამოშვებული!..

* * *

რეჟისორს კომედია უნდა დაედგა, მაგრამ როლების განაწილებისას ტრაგედია გამოუვიდა.

* * *

სახელი დროებითია, სახელის სიყვარული — მუდმივი.

* * *

სუკ-ელმა სუკ-ის სამწვადე თუ გაშოვნინა, „სუკინ სინ" აღარ უნდა დაუძახო!

* * *

ზოგი ომისა და შრომის ვეტერანია, ზოგიც — ძღომისა და ძრომის ვეტერანი!..

კარგი გამგონი
ძირუ ლელია

ინტრიგანის ამონაწერები

იყიდება ერთი წლის მოზვერი თივიანა და ფერად ტელევიზორიანა! **(გამოკრული განცხადებიდან).**

* * *

შრომითი ვალდებულებების შესრულებაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს შავ-თეთრი ჯიშის მწველავმა ქალებმა! **(სოფლის მეურნეობის სამინისტროს პ/მგ. მუშაკის გამოსვლიდან).**

* * *

მოისმინეს: პირუტყვის გამოზამთრების შესახებ.

დაადგინეს: რძის ცხიმიანობის ასამაღლებლად ფერმების ბრიგადირებმა ყოველ ხუთ დღეში ერთხელ აიღონ ანალიზები მწველავი ქალებისაგან! **(გაერთიანების გამგეობის ხხდომის ოქმიდან).**

* * *

იმასთან დაკავშირებით, რომ აფთიაქიდან მოპარული პრეზერვატივების პარტიის ვადა გასულია, ქურდს უარი ეთქვას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე! **(ხალხამართლოს დადგენილებიდან).**

* * *

საფიქრებელია, რომ პირველი ღია კარის დღე დავით აღმაშენებლის მიერ იყო გამოცხადებული, დარუბანდის კარი რომ ჩამოხსნა, მაშინ! **(უმაღლესი სახწავლებლის მიერ გამოცხადებული ღია კარის დღეს რექტორის გამოსვლიდან).**

ინტრიგანის როლში ამჯერად გამოვიდა
ე. თამაზიშვილი

ფუტკრის ფაბული

ფელეტონი

დიდი ფარსაგი რომ გახლავთ დედაბუნება (დაილოცოს მისი სახელი!) — ხილულსა და უხილავს, დიდსა და მცირეს, ყველას და ყველაფერს, წეს თა დ: რიგით დაწერილი, თუ დაუწერელი კანონებით, თავ ანთ წილ: ედრს მიაგებს, ზედმეტი ვაი-ვაშის გარეშე აყენებს კალაპოტ ', (მორჩილებს კანონზომიერებას!..

ფარსაგი გახლავთ-მეთქი, მოგახსენებთ დედაბუნებაზე, ჭეშმარიტება ვთქვი! აბა, განსაჯეთ, როგორ მორჩილებენ მის განაწესს წყლისა თუ ხმელეთის ბინადარნი! ამჯერად ზოგიერთი მათგანის იმ აღსრულებისწინა საქციელზე მოგახსენებთ, რაიც ბუნებას დაუკანონებია მათთვის. სპილო, მაგალითად, იქნებ საოცრადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ თავისი ფეხით მიბრძანდება საუკუნო ადგილზე. გედი მღერის სიკვდილის წინ. ეს იშვიათი სილამაზისა და საშინელი, გამყინავი ხმის მქონე ფრინველი უნაზეს ჰანგებს ღვრის აღსასრულისას. ბუზი კი, ჩვეულებრივი აბეზარი ბუზი, იკბინება და ერთობ მწარედაც. ამ უმაქნის არსებას გული წყდება მეტი სიავის მოტანა რომ ვერ მოასწრო და, იმის ნაცვლად, რომ თვითგვემას მიეცეს ცოდვათა მოსანანიებლად, უფრო ავდება და შხამდება!.. რა მოსატანია, მაგრამ ბუნების ბედისმწერლობას ვერ ასცილდა საიმპერიო მთავრობაც. მიუხედავად იმისა, რომ ყელამდეა ავსებული წარსულსა და აწმყოში ჩადენილი სისაძაგლით, მაინც გამეტებით იკბინება, იგესლება, აქამდე შენიღბულსა და მიჩქმალულ ენებებს აშკარად აჩენს, იწვევს ხელოვნურ აურზაურს, ადამიანთა და ერების ურთიერთწაკიდებას!.. აღსასრულის წინ!.. დიახ, მისი ბოლოჟამინდელი ეთნოკრიზისული კონფლიქტები მაინც რადა ღირს! ახლა კიდევ — „ფასების რეგულირებად“ მონათლული ყაჩაღობა! კიდევ კარგი, აქამდე ასეთ ნაბიჯს **ხალხის კეთილდღეობის ამაღლების“** მიზნით დგამდა. წინათ ქვეშ-ქვეშაც მოქმედებდა — ოც, ოცდაათ, ორმოც კაპიკს ალერსით, ღუღუნით, ჭიკჭიკითა და ენის ქავილით უმატებდა ორმოც, სამოც, ოთხმოცკაპიკიან ნივთს!.. მერე — მადა ბრამაში მოდისო! მოდის და (განსაკუთრებით ეს მადა საფინანსო ფანტაზიების სახით, პრემიერი პავლოვის მთავრობაში მოსვლასთან ერთად გაუცხოველდათ!) ეწვიათ კიდეც: ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და უამრავჯერაც კი გადიდდა ფასები! როცა ამგვარ საჩუქრებს გვირიგებს იმპერია, საყრდენიცა აქვს და დამფასებელიც კარგა ბლომად ჰყავს! ეს ის ადამიანებია, ზნეობის ნულოვან დონემდე სამოცდაათწლიან ნიველირებას რომ ვერ გაუძლეს და მოხვეჭას, მოგებასა და გამდიდრებას ანაცვალეს ერი და მამული! აბა, წარმოიდგინეთ ისედაც გაწამებული, გაბეზრებული, არასმქონე ხალხი და ერთი ბეწო გამაძღარი ფენა საზოგადოებისა, ამ შემთხვევაში — ზოგიერთი ვაჭარი და მისი მესვეური! ისინი არას დაგიდევენ სხვათა ტკივილს, თაფლთან უფრო ახლოს დგანან და მიირთმევენ კიდეც. მათ არ აღელვებთ დაბეჩავებულთა ხვედრი, პირიქით, ისინი ზეობენ!..

თავი რომ არ შეგაწყინოთ, უბრალოდ გეტყვით: შემოდგომის ბუზი დიახაც მწარედ იგესლება. იგესლება და გვერდით იყენებს თავისივე რეჟიმის ინკუბატორში გამოჩეკილ მანქურთს, რომელსაც განვითარებული აქვს მხოლოდ მოხვეჭის ჟინი და უნარი. მიზნის მისაღწევად იგი ცბიერებისა და ეშმაკობის გასაოცარ ხლართებს ქსელავს, იგონებს კომბინაციებს, ვარიანტებსა და ვარიაციებს. თავად განსაჯეთ: **სამტრედიელი სამრეწველო მაღაზიის გამგე შალვა შალელაშვილი ამას წინათ ქსანს გაემგზავრა. იქ, ცეკავშირის ცენტრალურ ბაზაში, მიიღო ათასი ცალი თერმოსი.**

ახლა ძნელი დასადგენია, ქსანს გამგზავრებამდე იფიქრა შალვამ, როგორ გამოადენდა თერმოსიდან ფულს, თუ მერე გაეხსნა ცისკარი და გაუნათდა გონება? მარტოკამ მოიფიქრა, თუ?.. ასეთ უმნიშვნელო კითხვებს თუ გავედევნებით, **ბატონი შალელაშვილი** შეიძლება აქეთ შემოგვედავოს, — თქვე კი ხალხო, იდეა ჩემია, რას მემართლებითო?! მართლაც რას ვერჩით?! **შალვას** ისეთ ადგილზე მოუხდება კითხვებზე პასუხის გაცემა, ძნელად თუ შეაშინებს ამდაგვარი წვრილმანი კითხვები. ჰოდა, ჩვენც საქმეს მივყვეთ. დიახ, **ბატონმა შალვამ** აღნიშნული **თერმოსები 21 მარტს ჩაიტანა სამტრედიაში. ჩაიტანა და... თორმეტი დღის განმავლობაში** ავ **თვალს** არ **დაანახვა, მზეს** არ **შეახედა** და, **აბა, 2 აპრილს, როგორც იქნა, გახსნა გულის კარი. 53-მანეთიანი ნივთი** (თითო **თერმოსიდან სამი მანეთი „პრეზიდენტის წილია“!**) **გაყიდა** ასოც **მანეთად. უბრალო** მათემატიკური **გაანგარიშებით, შალვამ** და **მისმა ხელისშემწყობებმა** ისედაც **ჯიბეგამოცარიელებულ** თანამოქალაქეთა **ხარჯზე** რაღაც **ორ საათში 67 ათას მანეთს გამოაკრეს ხელი!**

შალვასთან შედარებით მცირეოდენი გეჩვენებათ **სამტრედიის ქალაქვაჭრობის ქსოვილების მაღაზიის გამყიდველის მაყვალა ზარნაძის მიერ გათამაშებული კომბინაცია. მან 5285 მანეთის ღირებულების ხალიჩოვანი ფიანდაზი გადამალა საკუთარ სახლში. აქაოდა, როცა ჩემს მეზობლებს პურისა, და შაქრის შეძენის საშუალებაც კი აღარ ექნებათ, მე და ჩემი ახლობლები ფიანდაზებზე ვიგოგმანებთო!..**

მართალია, რაიონის მილიციისა და პროკურატურის თანამშრომლებმა დროულად აღკვეთეს პარპაში, ვიმედოვნებთ, სახამართლოც თავის სამართლიან სიტყვას იტყვის, მაგრამ მე მაინც მგონია, **ბატონი შალვასა** და **ქალბატონი მაყვალას** ქმედება კანონზომიერების **ნაყოფია. ისინი შემოდგომის ბუზების ქარგით** მოღვაწეობენ. **მიზანი? იოლი მოხვეჭა, ხალხის განწყობის გაფუჭება, სადიზმი!.. დიახ, ეკონომიკური სადიზმი!**

თუ არა ეკონომიკური სადიზმი და საბოტაჟი (რაიმე საქმის წინასწარგანზრახული ჩაფუშვა მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით) აბა რა უნდა დაერქვას **ცეკავშირის ოზურგეთის ბაზაში ასობით ცალი მაცივრის მთელი ერთი წლით „გაყინვას“, ან ამავე დაწესებულების სამტრედიის ბაზაში შენახვას 60-მდე ვიდეომაგნიტოფონისა და ასობით ათასი მანეთის ღირებულების იმპორტული ავეჯისა, რომელიც ამ ერთი წლის მანძილზე, ფიზიკურად კი არა, მორალურადაც კი მოძველდა?**

ვირწმუნოთ ახლა ის ამბავი, რასაც ყურს მოჰკრავთ ადგილზე, ვითომც რესპუბლიკის ზემდგომთა მითითებით ხდება აღნიშნული ნივთების გადანახვა? ვერ ვირწმუნებთ!

და, მეორე: როგორ პატივსაც უნდა ვცემდეთ ვაჭრობის მუშაკთა წმინდა ზნეობას, ვერ დავიჯერებთ, რომ თიოჭოს აღნიშნული სამრეწველო საქონელი ე.წ. ლატარიისათვის იყოს განკუთვნილი!

მაცივრები თუ ვიდეოაპარატურა, საცხოვრებელი გარნიტური თუ სამზარეულოები კი დევს, ალაგია, ყრია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მათგანს, დედისერთა შვილის ფასი ადევს, ხალხი სანთლით დაეძებს და ამაოდაც!

როგორ მკრეხელობადაც უნდა ჩამეთვალოს, მაინც მგონია, რომ ყოველივე გადამალვა ავ ზრახვებთან არის დაკავშირებული (იგივე საბოტაჟი!). ყოველივე ავი ზრახვა კი იმ სათაყვანებელი ხალხის საზიანოდაა მიმართული, რომლის **„დიადი მომავლის“** შესაქმნელად დღე და ღამე არ სძინავს იმპერიულ ხელისუფლებას, იმ ხელისუფლებას, ღვთის განგებითა და ბუნების წყალობით მომეტებულად რომ ამჟღავნებს შემოდგომის ბუზის სიმპტომებს!

დავით ასკურავა



ორი ალტერნატიული ნეკროლოგი

ამას წინათ, სიცოცხლის 99-ე წელს, გარდაიცვალა ქ. თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი კათედრის პროფესორი **ვარლამ ხანგრძელიძე**. გთავაზობთ ბატონი ვარლამის»დმი მიძღვნილ ორ ალტერნატიულ ნეკროლოგს.

I

ქ. თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი კათედრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სიცოცხლის 99-ე წელს მოულოდნელად გარდაიცვალა კათედრის ღვაწლმოსილი პროფესორი **ვარლამ ხანგრძელიძე**. ბატონი ვარლამის სიყვარული კათედრისადმი იმდენად უსაზღვრო იყო, რომ მიუხედავად ღრმა ასაკისა, სამი დამბლისა და ოთხი ინფარქტისა, რის გამოც ბოლო 20 წლის განმავლობაში ლოგინს იყო მიჯაჭვული, იგი მაინც ვერ ელეოდა პროფესორის თანამდებობას, რითაც შესაშურ მაგალითს აძლევდა კათედრის სხვა თანამშრომლებს.

ბატონი ვარლამის ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგების გულებში.

II

ქ. თბილისის იმავე უმაღლესი სასწავლებლის იმავე კათედრის წითელ დიპლომზე კურსდამთავრებული ახალგაზრდები დიდი სიხარულით იუწყებიან, რომ სიცოცხლის 99-ე წელს, როგორც იქნა, გარდაიცვალა კათედრის ღვაწლმოსილი პროფესორი **ვარლამ ხანგრძელიძე**. ბატონი ვარლამის სიყვარული პროფესორის ხელფასისადმი იმდენად უსაზღვრო იყო, რომ მიუხედავად ღრმა ასაკისა, სამი დამბლისა და ოთხი ინფარქტისა, რის გამოც ბოლო 20 წლის განმავლობაში ლოგინს იყო მიჯაჭვული, იგი მაინც ვერ ელეოდა თანამდებობას, რითაც შესაშურ მაგალითს აძლევდა კათედრის სხვა წევრებს. ვაკანტური ადგილის დაკავების შემთხვევაში მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება „უშტატო“ ახალგაზრდა სპეციალისტების გულში.

დიალოგები

— არიქა, „ირქიფო, დაქიჩმაჩდი, არ გეცოდები?! ყველას ტყავის პალტო აცვია!..

— გამაძვრე, ჭალო, ბარემ და შესაკერი ფული სალაროშია!..

* * *

— რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ცოლი და მაგნიტოფონი?

— მაგნიტოფონს გამორთავ!..

* * *

— თალიკო, ისევ უჩივი რევმატიზმს?

— არა, ახლა ქმარს ვუჩივი: ალიმენტს არ მიხდის!

მურმან მერკვილიშვილი.

პოეტი რედაქტორთან

— ბატონო რედაქტორო, ეს ერთი პოემა მაინც დამიბეჭდეთ!..

— ვერ დაგიბეჭდავ!

— რატომ?

— იმიტომ, რომ სუსტია!

— როგორი უნდა იყოს?

— როგორი და... როგორიც „ვეფხისტყაოსანია!“

— მაცხოვრეთ, ბატონო, ოქროს ხანაში და დაგიწერთ!

გიგო ნინაშვილი

ბასტრონომში

— რა გაქვთ გასაყიდი?

— არაფერი!

— რა ღირს არაფერი?

— არაფერი ჯერ არ გაძვირებულა!

არა ფერაძე.

საკომისიო მაღაზიაში

— მაჩვენე, ერთი, ეს ქურთუკი!..

— ინებე!

— კარგი ქურთუკია, მაგრამ უსაშველოდ ძვირია!.. შენი პირიმე, იქნებ მითხრა, ვისგან ყიდულობ, რომ ცოტა იოლად გამოვიდე!..

— ვისგან კყიდულობ?.. გეტყვი: მე ჩახუტიადან ვყიდულობ. ჩახუტია — ბახუტიადან, ბახუტია — კახუტიადან, კახუტია — ფახუნტიადან, ფახუნტია — კრახუნტიადან, კრახუნტია — პარხუნტიადან, პარხუნტია — ქარხუნტიადან, ქარხუნტია — ჯანხუნტიადან, ჯანხუნტია კი ვისგან ყიდულობს, ეს აღარ ვიცი!

— მერე ესენი?!.

— თუ კაცი ხარ, ახლა ამათი მისამართები არ მომთხოვო. ამას მე კი არა, თვით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ დაადგენს!..

რევაზ ლორია.

ლუბინუსი

ეუმორესკა

„ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲜᲐᲯᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ“ — ᲨᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲘᲡ ᲐᲜᲘᲜᲘᲡ, — ᲩᲐᲜᲓᲐᲠᲗᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡ!

— ᲓᲘᲓᲘᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲜᲝᲑᲓᲘᲗ! — ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲗᲘᲡᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲪᲕᲐ.

— ᲙᲘᲠᲩᲘᲡᲘᲡ ᲐᲘᲞᲘᲡᲐ, ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ. ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲜᲯᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡᲐᲗ ᲕᲘᲪᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲪᲘᲓᲝᲓᲐ!

— ᲠᲘᲛᲘᲜᲘᲗ?!.

— ᲰᲛ, ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ... ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲘᲛᲔ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲯᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲐ.

— ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲜᲘᲛᲘ ᲧᲠᲘ...

— ᲓᲐᲛᲔᲤᲣᲫᲔᲑᲔ ᲮᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲡ! ᲒᲐᲜᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲯᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲯᲓᲔᲑᲝᲗ?

— ᲨᲔᲜ ᲜᲘᲛ ᲛᲘᲮᲔᲠᲮᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲪᲘᲚᲔᲑᲘᲐ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲯᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲘᲛᲘᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲗ ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲤᲠᲘ...

— ᲓᲐᲛᲔᲤᲣᲫᲔᲑᲔ ᲮᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲡ! ᲒᲐᲜᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲯᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲯᲓᲔᲑᲝᲗ?

— ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ.

— ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲤᲣᲫᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ.

— ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲯᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲘᲛᲘᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲛᲐᲜᲓᲘ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲮᲝᲑᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ?

— ᲮᲐᲜᲪᲠᲐᲓ ᲮᲐᲜᲪᲠᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲯᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲘᲛᲘᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲛᲐᲜᲓᲘ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲮᲝᲑᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ?

— ᲮᲐᲜᲪᲠᲐᲓ ᲮᲐᲜᲪᲠᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲯᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲘᲛᲘᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲛᲐᲜᲓᲘ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲮᲝᲑᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ?

— ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲯᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲘᲛᲘᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲗ ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲤᲠᲘ...

— ᲓᲐᲛᲔᲤᲣᲫᲔᲑᲔ ᲮᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲡ! ᲒᲐᲜᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲯᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲯᲓᲔᲑᲝᲗ?

— ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ.

— ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲤᲣᲫᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ.

— ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ჩვენ ლოგიკა

შეტევა ისევ!

ჩვენი სისხლისა
და ჩვენი ბორცის
გავიღეთ მსხვერპლი
მეტად საჭირო!
მივრანდ-მოვრანდეთ
მრუდე ღრე-ბორცვი,
მივლეწ-მოვლეწეთ
გზა სათაკილო!..
მაგრამ აქა-იქ
რას ვხედავთ კიდევ,
დედაო ღვთისავ,
მზეო მარიამ?! —
ხვავი ბელურებს
უკითხავს მორალს.
წესრიგისათვის
მეომარია!
მზის სხივებს იკვლევს
თხუნელა, როცა
მიწიდან თავს ვერ
ამოყოფს მაღლა,
და ნათესების
მოვლა-დაცვაზე
დისერტაციას
ჩალიჩობს მახრა!
ესა და ისო! —
ლაყბობს ყორანი,
როცა არ ესმის
არც ეს და არც ის,
ენის ტარტარით
ცხოვრობს ჭილყვავი,
კაკკავი ქირდვით
იხსენებს არწივს!
ბევრს შევუცვალეთ
ბუნება მგლური,
ბევრი მოვთოკეთ,
ბევრი მოვჯოხეთ,
მაგრამ იდუმალ
ჰუპრუტანებით
კვლავ აკიაფებს
ქრთამი ჯოჯოხეთს!
არ იშლის ქურდი
ჭოტი ქურდობას,
თუმცა ძველ ხმაზე
ახლა არ კივის!..
შევხებას ითხოვს
ჩვენი ყოფისთვის
შეუფერებელ
სულთა არქივი!
ზოგიერთ ჩოჩორს
თავზე რეტს ასხამს
სიგლახ-ხიკარგის
კაკაფონია
და წიქარახთვის
ნახროლი წიხლი
მტერზე მორტყმული
ალყა ჰგონია!
არ დაცემია
მთლად ფახი მლიქვნელს,
თაღლითი ხიტყვის
კაცს არ ენდობა,
ბევრი ტრაპეზში
ხაცეცხლურს იქნევს
და თავის მამას
უთვლის შენდობას!
ბრძენკაცის არგანს
თუ ხწვდა რეგვენი,
მიხაკის ფახად
წავა ლენცოფა,
ყვავის ყრანტალი —
ბულბულის სტვენად
და გახაღდება
ხიბრძნედ ლენჩობა!
გული — მაღლა და
ხიწმინდე — მაღლა,
ვისაც მზეხავით
უნდა ატაროს!
შეტევა ისევ.
რადგან სხვაგვარად
არ ეწმინდება
სული ტარტაროზს!

ბუტბუტებენ!..

წრეგადახულ თვითნებობით
ლამის სულმთლად გაცოფდა
ხილიბისტრო ხალამპრიჩი.
როცა კაცით კაცობდა!
ალღო ჰქონდა შესაშური.
მისანივით ატყობდა,
ვისთან ბრდღვინვა.
ვისთან ღრენა,
ვისთან თვლემა აწყობდა!
საკუთარი ზნით და ხტილით
მუშაობდა კადრებთან! —
იტყოდა და შეხიტკვებას
ვერვინ ველარ ჰკადრებდა!
მისი ხაფიქრ-ხაზრუნავი
როცა გამოიკვეთა.
კარგად გაწვრთნილ-გაწაფული
დასი შესდგა მლიქვნელთა!
უკეთურთა მხარეს ქროდა
ხალამპრიჩის მარაო
და თვითონაც დაემსგავსა
ულტრამოდის ფარაონს!
მაგრამ როცა რკინის ხელით
მისი ნებაც შეჩერდა,
მლიქვნელთა და ლაქიების
დასიც გაუმეჩხერდა!..
ვინც შემორჩა, კანტიკუნტად,
ძალით ანდამატურით,
მათ დახჩემდათ ინერციით
ფუუე თავის კანტური!..
ბუტბუტებენ, ერთმანეთზე
ლამის გადაეწებნენ.
ხალამპრიჩის ჯოგრიტიდან
მზეზე ლაქებს ეძებენ!

ექიმთან

გამახწორა ხაწოლზე და
ერთი კარგად მიმთელა,
გამოიცნო: მომიხდია
ქუნთრუშა და წითელა.
— აბა, ენა გამოუავი
და დაკრიჭე კბილები,
სკარლატინა ხომ არ გჭირდა,
დაიფიცე შვილები!
კისერი რამ გაგიწვრილა,
ალბათ გქონდა რაქიტი!
ბეტყობა, რომ მშობლებს ჰყავხარ
წონა ფულით ნაყიდი!..
და ულმერთოდ გამიძნელა
ერთი ხაქმის მოწყობა!..
ხიზმრად მექცა ექიმი და
ჯანმრთელობის მოწმობა!
არ გასულა დიდი ხანი,
ერთმა გოგომ, ლარისამ,
ზღვაზე ვარო, მიდეპეშა,
გული გამიხალისა!
მაგრამ ჩემი დირექტორი
(მე ის კაცი მაგიეებს!),
თუ ექიმის ცნობა არ გაქვს,
ხადილზედაც არ გვიშვებს!
არ დავიბენ, ვიხმე შველად
ოთხიოდე ძმაკაცი
და გამშვხვართეს იმ ექიმთან
წითელი ჯვრის ხაკაცით!..
მოვიკეცე იმის ფეხქვეშ,
იქვე ბოლთას რომ ცემდა,
მე მეგონა, ერთი კვირით
ბიულეტენს მომცემდა!
„ვაი, დედაც" ბევრი ვთქვი და
კიდევ ბევრი მახველა.
მითხრა: „ბიჭო, ეგ კისერი
რამ გაზარდა მაგხელა?
მოჭიდავე ხომ არა ხარ?" —
მკერდზე ხელი მატაკა.
რა მხეცივით ფილტვები გაქვს
და რა კარგი მაჯა გაქვს!
ეჰ, რახ იზამ, ახლა ალბათ
თუ ვეგონე ხხვა კაცი!..
და მოვკურცხლე ხახლისაკენ
დაკეცილი ხაკაცით!..

„ბოროტსა ძლია კეთილმან, პირსაბა მისი ბრძოლია!"

იგავ-არაკი

ერთი უღრანი ტყის გარშემო მობალახე ცხვრის ფარას მელიები ჩასდგომოდნენ მწყემსებად. მელიებს ტყეთა მეფობა სწადდათ, დაარწმუნეს ცხვრები, რომ ეს მათი კეთილდღეობისათვის არის საჭირო, და ცხვრის ფარა უღრან ტყეს შეასიეს!.. გაოგნებულმა ცხვრებმა თითქმის ტყის მობინადრეთა ნახევარზე მეტი გათელეს, მათ ადგილ-სამყოფელს კი მელიები ეპატრონებოდნენ, მაგრამ უღრანი ტყის შუაგულისაკენ დაძრულ ცხვრის ფარას წინ აღუდგნენ ტყის მგზნებარე მობინადრენი: გველი, მგელი, ლომი, რომლებმაც სასტიკი დამარცხებაც აგემეს ცხვრებს! ლომმა ტყის ყველა მშვიდ ბინადარს დაუბრუნა თავისი ადგილ-სამყოფელი!

აბა, მელიებმა საიდან იციან ბუნების ის კანონი, რაც მაღალ ღმერთს დაუდგენია?!

მორალი:

ნურვის წაართმევ იმას, რაც შენთვის არვის მოუცია!

ვინი აზროვნებაც „მე"-ხ ვერ აღემატება, იგი ხატანაა!

წერგო ჩიტაური

ლურჯი დათვი

— თუ შეიძლება, ქალბატონო, ის ლურჯი სათამაშო მომაწოდეთ!

— ინებეთ!

— საინტერესოა!.. რაღაცას მაგონებს!.. ვერ მეტყვით, ეს ლომია თუ მგელი?

— დათვია!

— შეუძლებელია!

— რატომ?

— კუდიანი დათვი არ გამიგია!

— იჭნებ, ფერიც დაიწუნოთ?

— ფერი ჯანდაბას, მარა...

— ბატონო, არ მოგწონთ და მოაკრეთ კუდს! უბრალო რამეს ეახდიან ხოლმე სალაპარაკოდ!..

— მე მგონი, ეს უფრო სხვა ცხოველი უნდა იყოს!

— არ გინდათ ყიდვა?! ნუ იყიდეთ! გაძალებთ ვინმე?!

— კაცო, მარტო შენ ხომ არ უნდა მოგემსახუროს?! თუ მიგაქვს, წაიღე რა, ეგ მელა!

— თქვა სხვამ.

— სად ხედავთ, ბატონო, მელას? დათვია!..

— რომ არ ჰგავს?

— ახლა ამას უმტკიცე!.. ნამდვილად ყიდულობთ?

— ვყიდულობ!

— პასპორტი მაჩვენეთ!

— ინებეთ!..

— მდაა! აბა, თავი შეატრიალეთ! ახლა შემოატრიალეთ! გაიღიმეთ! გასაგებია! პასპორტი სხვისია!

— როგორ თუ სხვისი?!

— სურათზე მხიარული სახის ახალგაზრდა კაცია გამოსახული, თქვენ კი...

— სურათი, ქალბატონო, 15 წლის წინაა გადაღებული! მაშინ ახალგაზრდაც ვიყავი და მხიარულიც!..

— მაინცდამაინც დაგიმტკიცოთ, რომ ჩემს შეცდომაში შეუვანას ცდილობთ?

— ტყუილს ვიკადრებ ამ ხნის კაცი?!

— აბა, პასპორტის სერია და ნომერი მითხარით ზეპირად!

— აღარ მახსოვს!

— ხომ ხედავთ?!. თქვენი სახელი?

— სანდრო!

— აქ კი ალექსანდრე წერია!

— ნუ შემშალეთ ჭკუიდან!..

— კარგით! დავუშვათ, პასპორტი თქვენია...

— დავუშვათ კი არა, ჩემია!

— ნუ ღელავთ! ჩვენი მიზანია, ჰეშმარიტება დავადგინოთ! როგორც ირკვევა, ცოლიანი ხართ, მაგრამ ბავშვები არა გყავთ!

— სამწუხაროდ, ასეა!

— მაშ, სათამაშო ვისთვის გინდათ?

—ქალბატონო, ნათესავთან მივდივარ ოჯახში, მისი ბავშვისთვის მინდოდა!..

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ სხვისთვის რაიმეს ყიდვა დახუშვებელია! შეიძინეთ მხოლოდ თქვენთვის, მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის! მოვიდეს თქვენი ნათესავი, მოიტანოს პასპორტი და თვითონ უყიდოს თავის ბავშვს ყველაფერი! თქვენი მოქმედება კი ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება!

— მომეცით ჩემი პასპორტი, დაიბრუნეთ თქვენი ლურჯი დათვი!

— გეწყინათ რამე?

— არა, რას ბოძანებთ, აღტაცებული ვარ! მშვიდობით!

— ღმერთო ჩემო, ზოგი როგორი უცნაურია! — ამოიხვნეშა გამყიდველმა.

პაატა ოსეფაშვილი



— თუ ძმა ხარ, გამაგებინე, თქვენთან რომელ პროდუქტს მოემატა ფასი?!

ნახ. ბ. პეტრიაშვილისა

ზესტაფონური ანეკდოტები ბადრიაზე

ერთხელ ბადრიამ ღვინო მიპყიდა მეგრელებს.

მესამე დღეს ღვინო უკან დაუბრუნეს.

— ღვინო გაშავდა! — შეხჩივლეს მეგრელებმა!

— თუ სამეგრელოში მიგქონდათ, ვერ მითხარით, თქვე კაი ხალხო?! მაშინ სხვა ღვინოს გაგატანდით! — იმართლა თავი ბადრიამ.

— : — : —

ბადრიამ სტუმრებს სუფრა გაუწყო.

— დალიეთ, თქვენი ჭირიმე, შაქრისა და წყლის მეტი არაფერია ამ ღვინოში, არ გაწყენთ! — ეუბნებოდა ბადრია.

— : — : —

— კაცო, რაც შენ ღვინოს სვამ, გული არ გაწუხებს?! — ჰკითხა ერთხელ ზურიამ ბადრიას.

— რაც გული მქონდა, ცოლმა და სიდედრმა შემიჭამეს და რაღა შემაწუხებს აწი მე?!

— : — : —

— რას გიშავებ, შე კაცო, მეც ვიქნები ამ ქვეყანაზე! — შეევედრა ერთ დღეს სიდედრი ბადრიას.

— იყავი, ქალო, მაგრამ ვალებს რა ვუყოთ?! — ნერვიოზულად მიუგო ბადრიამ.

— : — : —

ბადრია ტყეში წავიდა შეშისთვის, თან სიდედრი წაიყვანა.

— რად გინდა, კაცო, სიდედრი რომ მიგყავს ტყეში?! — უთხრა ზურიამ.

— რად და, ნადირი რომ დამიფრთხოს! — უპასუხა ამაყად ბადრიამ.

— : — : —

— რატომ სვამ ახე ხშირად? — ჰკითხა ერთმა ბადრიას.

— ეჰ, ჩემო ძამია, შენც რომ გყავდეს ჩემისთანა სიდედრი, მაშინ აღარ შემეკითხებოდი!

— : — : —

ბადრიას ჰკითხეს:

— რატომ არის ყვირილა შავი?

— რაც 78 წლის განმავლობაში ნაგავი იყო, მაგან რეცხა და გაშავდებოდა, აბა რა მოუვიდოდა?! — მიუგო ბადრიამ.

შეკრიბა ერმალო მაღრაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიკითხოთ ეს სასაცილოები ერუკანში!

ჩვენს წინაა „ხალხური სიბრძნე“. მასში თავმოყრილია ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები!.. რამდენი მარგალიტია ამ ანდაზებში! ნამდვილი საუნჯეა, სიბრძნეა! ისინი თაობიდან თაობაში გადადის, საუკუნეებს უძლებს, მაგრამ...

სამწუხაროდ, ზოგიერთმა მათგანმა ჩვენს საუკუნეს ვერ გაუძლო, ზოგიერთი ამოსაღებია, ზოგი — შესაცვლელი, ზოგიც — გადასაკეთებელი და გარდასაქმნელი!

ამარებიდან დროებით ამოღებულ უნდა იქნეს:

„თავის ქება კიტრადაო, კიტრი კაპეიკადაო“. კიტრი ვერ შევცვალეთ, კაპიკიანი ვერაფერი ვიპოვეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავის ქება მაინც არაფრად ღირს!

„კაცმა რომ კაცი გაიცნოს, ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამონ ერთადო“. ძალზე ხანგრძლივი პროცესია ამ უმარილობის პერიოდში!

„მწვადი ისე შეწვი, არც მწვადი დახწვა და არც შამფური!“ დრომოჭმულია!..

„ადრე ადგომა მეტი სიცოცხლე არისო“. კატეგორიულად უკუმოქმედებს რძის ნაწარმის მშოვნელთათვის.

„ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რამე ასესხეო!“ თუ „სესხში“ კარაქი იგულისხმება, შეიძლება დავტოვოთ.

„უველი და პური, კეთილი გული“. თუ ოჯახის წევრთათვისაა, კი, ბატონო!

„დილას ოქრო ხარ, სტუმარო, შუადღეს ვერცხლად იქცევი, თუ კიდევ შეგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი!“ ყოვლად დაუშვებელია (ტფუი, ეშმაკს!).

„კაცმა ისეთი ლუკმა არ უნდა გადაყლაპოს, რომ ვერ მოინელოსო“. შეიძლება დავტოვოთ, ოღონდ დიდი სიფრთხილეა საჭირო!

„ქათამი ჩიოდა: ცხვარი დაკლეს — მე წამაკლეს, ღორი დაკლეს — მე წამაკლეს, ძროხა დაკლეს — მე წამაკლესო“. იშვიათობაა. შეიძლება დარჩეს, როგორც გამონაკლისი.

„ახალ კიტრს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიაფდებაო!“ ილუზიაა! დატოვება არ შეიძლება!

შესაცვლელი და გადასაკეთებელია:

„თევზი თავიდან აყროლდებაო“. უფრო გონივრულია: „ჭკვიანი კაცი თევზს არ აყროლებსო“.

„თუ ლაშქრის შეკრება გინდა, ბუკი უნდა დაუკრა!“ უპრიანია: „თუ ხალხის თავმოყრა გინდა, კარავი უნდა გაშალო!“

„შეაყარე კედელს ცერცვი!“ „ცერცვი“ უნდა შეიცვალოს ან ქვით, ან ქვიშით.

„გაყიდა მამული, იყიდა ხრამულიო“. „იყიდა“ უნდა შეიცვალოს: „ვერ იყიდა“.

„ერთი დღით რომ სადმე მიდიოდე, სამი დღის საგზალი უნდა წაიღო!“ შეგონება: „სამი დღის საგზალი თუ გაქვს, სახლიდან ფეხი არ მოიცვალო!“

„ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო“. „დღეს ჩოჩორმაც კი იცის, ხურმა რა ხილიაო“.

„მშიერი ძაღლი პატრონსაც უკბენსო“. უნდა იყოს პირიქით.

იმ ტიპის ანდაზები, რომლებიც დღევანდელობას უპასუხებს, უნდა დარჩეს ხელუხლებლად:

„ჭამა ქონებაზე ჭკიდიაო“.

„თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო“.

„როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია“.

„კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დდესაო“.

„ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგია“.

„დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო“.

„ერთი არის მთობნელიო, ოცდაბუთი — მცობნელიო“.

„შენს პირს შაქარი“ (დალოცვის უმაღლესი ფორმა).

„შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი!“ (უებარი შეგონებაა ყველის დაჭრის პროცესში).

იმედია, რომ ზემომოყვანილი გადაკეთებული და „ამოღებული“ ანდაზები „გამოდარების“ შემდეგ კვლავ მიიღებს თავის პირვანდელ სახეს!

ღმერთო, შენ გვიშველე!

სულიკო ნუცუბიძე

ნახ. ზ. ცინცაძისა

— მრგვალი მაგიდა კი გევიდა, ძამა, მარა ზედ დასა წყობი გვექნება რამე?!

329
1.VII
91

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" №10 (1836), მაისი, გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჰაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბერთაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე ხაზონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიკვნიკაძე.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 19. 04. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 06. 91 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. №846. ტირაჟი 70.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარ. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ. პუშაკების — 99-02-38, მდივან-მ ე მ ა ნ ქ ა ნ ი ს — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло». ул. М. Костава № 14.

ფასი 40 კაპ.

ინდექსი 78187

დათვლილი გაქვს დღეები!

დათვლილი გაქვს, მიხეილ,
ბერძნებლობის დღეები!..
განდიდების გულისთვის
ბინძურ საქმეს შეები! —

მიუსიე ქვეყანას
დაგეშილი მკვლელები
და „ნობელი" მიიღე
სისხლიანი ხელებით!..

სახელმწიფო ხაზინას
გაუკეთე აბორტი,
მიაღწიე მწვერვალს და...
სამარცხვინოდ დაგორდი!

პრეზიდენტი გქვია და
აზრები გაქვს მედუქნის!
შენ პრემია კი არა,
პატიმრობა გეკუთვნის!

დრო, დრო!..

ერთხელ, ერთმა პარტიელმა,
გავით სკამის მოჭრაჭუნემ,
ჩამომყვირა პარტიულად:
— „გარდაიქმენ!..
ჭკა, მაგ ჰუნეს,
ახლებურად გაახტუნე,
თორემ მაგრე მოზლაუუნეს
აგიწელავ აღმა უურებს!.."

ახლა თვითონ იმ პარტიელს,
მოზოზინეს,
მოზლაუუნეს,
ზაკვა აღარ აპატიეს,
უწელავენ აღმა უურებს!..

სატრანსპორტო სტრიქონები

I

სკამი დაუთმე უფროსსა, —
პაპას, ბებიას, ბიძასა....,
ის ცაში მიდის, შენ გითმობს
ამ ლამაზ დედამიწასა!

II

თუ დამიჯერებ ამ ნათქვამს,
სად გამოგადგეს, რა იცი? —
წინიდან ნუ ამოხვალ და
ნუ მიღრენ: „უკან გაიწი!"

III

მძღოლს ეხვეწა, ემუდარა:
„გადავიხდი, გაალე, რა!"
გაუღო და უსინდისომ
თავი გვერდზე გააღერა!

ნიკოლოზ იოსებიძე — ალექსანდრე დიდებაშვილი — ალექსი ჭინჭარაული

ნახ. ბ. აბაშიძისა

— რა მოგვივიდათ ამ რაჭველებს?! ერთ მუჭა ოსებს ვეღარ მოუარეთ?!
— მოვუარეთ, ქვე შენი ჭირიმე, მაშ!.. ახლა ჩვენთან ქუთაისიდან ავდივართ!..

7-91

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო მუსხელიშვილის ფოლკლორი

დიდ ქართველ მეცნიერს, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ მათემატიკოსსა და მექანიკოსს, დრეკადობის თეორიის საყოველთაოდ აღიარებულ მეტრს — **აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს** — დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. ბევრი ადამიანური ღირსების გარდა, ბატონი ნიკო არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობით, ჭკუამახვილობითა და ენამახვილობით გამოირჩეოდა, „ამასთანავე მისი ხუმრობები სახელდახელოდ, ერთ წამში, „რეაქტიულად" იბადებოდა „ადგილზეე".

„ნიანგს" არაერთგზის გამოუმზეურებია ნიკო მუსხელიშვილის მოსწრებული თუ მაოილიანი სიტყვა. ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს **ვახტანგ პარკაძისა** და **თამაზ ებანოიძის** მიერ შედგენილი კრებულიდან — **„მოგონებები ნიკო მუსხელიშვილზე"**, რომელიც ახლახან გამოვიდა.

„ჩვენთა მუხლთა დრეკადობა" — ბატონი ნიკოს ნათელ ხსოვნას!

— : — : —

ნიკო მუსხელიშვილი ბგერა „რ"-ს რიგიანად ვერ გამოთქვამდა. ერთხელ ახლობელთა წრეში დაუჩივლია:

— რა უბედური კაცი ვარ, „რ"-ს ვერ ვამბობ, ბედმა კი ისე ინება, რომ ჩემს პირველ მეუღლეს თამარი რქმეოდა, ცოლისდახ — რუსუდანი, ცოლისძმას — გიორგი, გიორგის მეუღლეს — ეორეეტა; სიდედრი გურამიშვილის ქალი მყავდა, შვილს გურამი დავარქვი, რომ დავქვრივდი, მეორე ცოლი შევირთე, სახელად რუზანა!..

— : — : —

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს — ნიკო მუსხელიშვილს თანაშემწემ მოახსენა:

— ბატონო ნიკო! გუშინ ამა და ამ ინსტიტუტში ორმა პროფესორმა თავურები უთავაზა ერთმანეთს!..

— ეგ კარგი ნიშანია — პროფესორებს თავით დაუწყიათ მუშაობა!..

— : — : —

ერთ წელიწადს პრეზიდენტს მოწითალო, „მუვ რალა" ფერის ავტომანქანა გამოუყვეს. მას ეუხერხულა ასეთი ღია ფერის ავტომობილით სარგებლობა და ვაჭრობის მინისტრს დაურეკა:

— თქვენი განკარგულებით ჩემთვის სახანძრო რაზმის მანქანა გამოუყვიათ!.. ჩემი ასაკისა და თანამდებობის კაცისათვის ამ ფერის „ვოლგა" შეუფერებელია და ეგებ შავით შემიცვალოთ?!

— ამხანაგო ნიკო! შავი „ვოლგა" ერთმა სპორტსმენმაც მთხოვა. იმას ვერ მივეცი და, აბა, თქვენ როგორ გამოგიყოთ?!.

— : — : —

ბატონი ნიკო ერთ ახლობელ ოჯახს ეწვია, სადაც საუბარი გართულებულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე ჩამოვარდა. დიასახლისმა დაიჩივლა — VI კლასის გეომეტრიის კრებულში შეტანილი ერთი ამოცანა ჩემმა შვილმა კი არა, ბევრმა სხვამაც სცადა და ვერ ამოხსნაო! სტუმარს წამოსცდენია — მაჩვენეთ, ასეთი რა არის, აუიოტაეი რომ გამოუწვევიაო! აჩვენეს. ბატონმა ნიკომ ბევრი იწვალა, მაგრამ ამოცანა ვერ გადაწყვიტა.

... ნავახშმევს სტუმარმა დიასახლისი განზე გაიყვანა და უთხრა:

— გთხოვთ, ნურავის ეტყვით, VI კლასის გეომეტრიის ამოცანა რომ ვერ გავაკეთეო!

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

— აღარც მახსოვდა, ბატონო ნიკო. ეგ რა სალაპარაკოა. ან საუ ვიტყვიო?!

სტუმარი წავიდა, მაგრამ რამდენიმე წუთში მობრუნდა და ზარი დარეკა. დიასახლისმა კარი გააღო, ბატონი ნიკო ახლოს მივიდა და ხმადაბლა ეუბნება:

— იცით რა, კიდეც რომ უთხრათ ვინმეს, მაინც არავინ დაგიჯერებთ და ჯობია, რომ არა თქვათო!..

და „ხაბოლოოდ" წავიდა...

— : — : —

ნიკო მუსხელიშვილი ბევრს ეწეოდა თამბაქოს. ერთ ქართველ მეცნიერთან საუბრისას, რომელიც არ იყო მწეველი, ნიკოტინსაც შეეხნენ.

— ბატონო ნიკო! ამდენს რომ ეწევით, განა არ იცით, ერთი გრამი ნიკოტინი ცხენს რომ კლავს?!

— მაშ, ნახევარი გრამი ვირს მოკლავს! ეტყობა ამით აიხსნება, რომ ვირები პაპიროსს არ ეწევიან!..

— : — : —

კიდევ ერთმა უსაყვედურა პრეზიდენტს:

— ძალიან ბევრს ეწევითო!

მცირე პაუზის შემდეგ ბატონმა ნიკომ უპასუხა:

— თუმცა მართლაც ბლომად ვიღებ ნიკოტინს, ნიკოტინი ვერას აკლებს ნიკოს ტვინს!..

— : — : —

ნიკო მუსხელიშვილმა ერთხელ ასე „შეაჯამა" თავისი ცხოვრების გზა:

— წარსულს რომ გადავხედე, დავრწმუნდი: ქრთამი არასოდეს არ ამიღია; თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ არავის შემოუძლევია, თორემ ეგებ ამეღო კიდეც!..

— : — : —

ერთ დღეს პრეზიდენტი აღელვებული დაბრუნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. მიზეზი რომ ჰკითხეს, განაცხადა:

— საკითხის განხილვა როცა დამთავრდა, ვახილ პავლეს ძე მითხრა:

— ამხანაგო ნიკო, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გადაბერდა და უნდა გავაახალგაზრდავოთ!

მე ცოტა დავფიქრდი და ვუპასუხე:

— ვახილ პავლოვიჩ! იქნებ მართალიც ბრძანდებით, მაგრამ თქვენ მაინც უნდა გახსოვდეთ, რომ პრეზიდიუმი „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი არ არის-მეთქი!..

— : — : —

ერთ შეკრებაზე ნიკო მუსხელიშვილმა ჩათვლიმა და თვალი რომ აახილა, პირდაპირ მჯდარი ვერიკო ანჯაფარიძე დაინახა, რომელიც სიყვარულით შეხცქეროდა.

— ვერიკო, გინდ მეძინოს, მაინც ხულში მიზიხარ! — მიაგება ბატონმა ნიკომ.